ხელშეკრულება №23-19/43

ქ. თბილისი

10 აპრილი 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მედ სთაილ" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გელაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

8 (რვა) ცალი სამედიცინო ხალათის (შემდგომში - საქონელი) შესყიდვა (CPV კოდი: 33199000) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.2. შესყიდვის ობიექტის, 1 (ერთი) ცალი სამედიცინო ხალათის ღირებულება შეადგენს 40,00 (ორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 320,00 (სამას ოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშწორება განხორციელდება **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით.**

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ხელმოწერებით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკოსი, მძღოლი გიორგი ჯანიკაშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №37.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალე ნდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტი

ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7
ს/კ 204 862247
ტელ: 232-47-16; 232-95-87
ელ. ფოსტა: tmi@mining.org.ge
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 708727228

სსიპ გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორი:

_____ ნ. ჩიხრაძე

LEPL G. Tsulukidze Mining Institute
Digitally signed by LEPL G. Tsulukidze Mining Institute
Date: 2023.04.10 15:48:41 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს „მედ სთაილ“

ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №37
ს/კ: 404489228
ტელ: 593-80-52-25
ელ.. ფოსტა: geomedstyle@gmail.com
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
GE40TB7429236020100001

შპს „მედ სთაილ“-ის
დირექტორი:

_____ ი. გელაშვილი

Irakli Gelashvili 01031000830
Digitally signed by Irakli Gelashvili
Date: 2023.04.10 18:11:47